სამახსოვრო ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებლისთვის

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:

- არეგულირებს კენჭისყრის შენობაში შემომსვლელი ამომრჩევლების ნაკადს.
- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

<u>ყურადღება!</u>
თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება საქართველოს მოქალაქის პირა დობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი უხსნის მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, მიუთითებს ამომრჩეველს შევიდეს კენჭისყრის შენობაში და მივიდეს ნებისმიერ იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

<u>ყურადღება!</u>
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი თვალყურს ადევნებს, რამდენი ამომრჩეველი დგას სარეგისტრაციო მაგიდასთან/მაგიდებთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან/მაგიდებთან ორი ამომრჩეველი დგას, დროებით შეაყოვნებს კენჭისყრის შენობაში მორიგი ამომრჩევლის შესვლა.

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის/აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადასცემს მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერ ფარანს.

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში, **ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:**

- არეგულირებს კენჭისყრის შენობაში შემომსვლელი ამომრჩევლების ნაკადს.
- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

<u>ყურადღება!</u>
თუ ამომრჩეველს არ აღმოაჩნდება საქართველოს მოქალაქის პირა დობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი უხსნის მას, რომ იგი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება.

<u>ყურადღება!</u>
- ✓ თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა, ხოლო მისი ვინაობა მიეთითება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.
- ✓ ამომრჩეველი, რომელიც, „ფიზიკური მდგომარეობის“, კერძოდ ზედა კიდურების არქონის გამო, ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

- ამომრჩეველს კენჭისყრის ოთახში შეუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება. კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო.